ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6672585

ნომერი: AR1989589

თარიღი : 13.09.2023

გაცემის თარიღი : 20.09.2023

გაცნობის თარიღი : 20.09.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , N 118 ; ქალაქი თბილისი , დასახლება ზემო ალექსეევსკი , კახეთის გზატკეცილსა და სამგორის ქვემო მაგისტრალურ არხს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავითი ჩიკვაიძე პ/ნ 45001033231
- თბილისი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 26 ივლისის №6575003 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 13 სექტემბერს №AR1989589 განცხადებით მომართა დავითი ჩიკვაიძემ და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 26 ივლისის №6575003 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 26 ივლისის №6575003 ბრძანებით, №01.19.16.003.409 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალ ადგილიანი ავტოსადგომის მშენებლობის მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2023 წლის 26 ივლისის №6575003 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საპროექტო ობიექტის მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლე განისაზღვრა არასწორად, კერძოდ უნდა განსაზღვრულიყო არა მხოლოდ საზოგადოებრივი საზღვრისა და უკანა ეზოს მხრიდან, არამედ საზოგადოებრივი საზღვრისა და უკანა ეზოს, ასევე სამეზობლო მიჯნის მხრიდან (საპროექტო მიწის ნაკვეთის „ჩიხურ“ ნაწილში). შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.

სამსახურმა, დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ 2023 წლის 16 მაისის №AR1966540 განცხადებით მოთხოვნილ იქნა, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება. სამსახურმა იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა, თუმცა ბრძანებაში მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლე ტექნიკური შეცდომის შედეგად განისაზღვრა არასწორად, კერძოდ უნდა განსაზღვრულიყო არა მხოლოდ საზოგადოებრივი საზღვრისა და უკანა ეზოს მხრიდან, არამედ საზოგადოებრივი საზღვრისა და უკანა ეზოს, ასევე სამეზობლო მიჯნის მხრიდან (საპროექტო მიწის ნაკვეთის „ჩიხურ“ ნაწილში).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 26 ივლისის №6575003 ბრძანებაში და „მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლის“ ველი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „განისაზღვროს საზოგადოებრივი საზღვრისა და უკანა ეზოს, ასევე სამეზობლო მიჯნის მხრიდან (საპროექტო მიწის ნაკვეთის „ჩიხურ“ ნაწილში).“.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 26 ივლისის №6575003 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 26 ივლისის №6575003 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.